საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/7256
19/10/2026

7256-01-2-202610191609

ფ/პ გიორგი ბუტიკაშვილს (პ/ნ 01001050214)

მის.:

ელ.ფოსტა:

ტელ.:

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-11[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს წინასწარ წერილობით, სრულყოფილად უნდა წარედგინოს შეტყობინება იმ კონცენტრაციის თაობაზე, რომლის მონაწილე მხარეების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯამური ერთობლივი შემოსავალი კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციად მიიჩნევა ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვებას სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს /აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მასში მონაწილე პირების ჯამური წლიური ერთობლივი შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი წლიური შემოსავალი შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, ამავე წესის მე-4 მუხლის მე-3

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან/და არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი ეკონომიკური აგენტები; ბ[1]) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი პირ(ებ)ის კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტები; გ) ეკონომიკური აგენტები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციაში მონაწილე პირთა და მათი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი პირების კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტების ერთობლივი კონტროლის ქვეშ. ხოლო, ამავე წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო ფიზიკურ პირს დაეკისრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულებისაგან. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ 2026 წლის 26 აგვისტოს ფ/პ გიორგი ბუტიკაშვილმა (პ/ნ 01001050214) შეიძინა შპს „ნიუ ენერჯი 2030“-ის (ს/ნ 402301905) 100%-იანი წილი. აღნიშნული ოპერაცია, სააგენტოს წინასწარი პოზიციით, შესაძლოა, წარმოადგენდეს კანონით განსაზღვრული კონცენტრაცის შემთხვევას, რომელიც, სააგენტოს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას. აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, **5 (ხუთი) სამუშაო დღის** ვადაში მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია /დოკუმენტაცია:

1. განხორციელებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
2. ინფორმაცია შპს „ნიუ ენერჯი 2030“-ის (ს/ნ 402301905), ფ/პ გიორგი ბუტიკაშვილის (პ/ნ 01001050214) და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების 2025 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ ცალ-ცალკე;

3. ინფორმაცია შპს „ნიუ ენერჯი 2030“-ისა (ს/ნ 402301905) და ფ/პ გიორგი ბუტიკაშვილის (პ/ნ 01001050214) საქმიანობების სფეროების შესახებ;
4. მიზეზები, რის გამოც არ მოხდა დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინება;
5. ინფორმაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკურ პირს – 1 000 ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე